უცხო ენის გავლენა სტრესული მოვლენის შეფასებაზე

ვახტანგ ნაროუშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო კორინთელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვახტანგ ნაროუშვილი, 30 ივნისი, 2017 წ.

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია კავშირი უცხო ენასა და სტრესულ მოვლენას შორის. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ სტრესული მოვლენა უცხო ენაზე შეფასდება ნაკლებად სტრესულად, ვიდრე მშობლიურ ენაზე. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს მცდელობას შეისწავლოს და ახსნას ეს ფენომენი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 56-მა ადამიანმა. მათი ასაკი მერყეობდა 18-დან 30-წლამდე. ყველას მშობლიური ენა იყო ქართული, უცხო ენა კი ინგლისური, რომლის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა იყო სავალდებულო. კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტი იყო ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების სკალა (Appraisal of Life Events (ALE) Scale) ინგლისურ ენაზე და მისი ქართულად ადაპტირებული ვარიანტი. მონაწილეებს უნდა დაეწერათ რაიმე სტრესული მოვლენა საკუთარი გამოცდილებიდან და შემდეგ შეეფასებინათ ის, მოცემული ზედსართავი სახელების გამოყენებით, მშობლიურ და ინგლისურ ენაზე. ნახევარმა ჯერ ქართულად და შემდეგ ინგლისურად შეავსო ტესტი, ხოლო მეორე ნახევარმა პირიქით. შედეგების დათვლისას გამოვლინდა მცირე განსხვავება ქართულ და ინგლისურ ენაზე მიღებულ მონაცემთა შორის. ანალიზმა გვაჩვენა, რომ ინგლისურ ენაზე მონაწილეები უფრო ნაკლებად უარყოფითად აფასებდნენ სტრესულ მოვლენას, ვიდრე მშობლიურზე.

საკვანძო სიტყვები: *უცხო ენა, მშობლიური ენა, სტრესი, გავლენა.*